



## 2021 წლის საარჩევნო რეფორმის შეფასება

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

მარტი, 2021

## სარჩევი

შესავალი.....	3
1.საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება.....	4
1.1. ცენტრალური საარჩევნო კომისია.....	4
1.2. საოლქო საარჩევნო კომისია .....	5
1.3. საუბნო საარჩევნო კომისია .....	6
რეკომენდაციები .....	6
1.1. ცენტრალური საარჩევნო კომისია:.....	7
1.2. საოლქო საარჩევნო კომისია .....	7
1.3. საუბნო საარჩევნო კომისია .....	8
2. საარჩევნო სისტემა .....	8
რეკომენდაციები .....	9
3. საარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება.....	9
3.1. წინასაარჩევნო აგიტაცია .....	9
რეკომენდაცია .....	11
3.2. წინასაარჩევნო აგიტაცია სოციალური ქსელებით.....	11
რეკომენდაცია .....	11
4. ამომრჩევლის ნებაზე გავლენის მოხდენა.....	11
რეკომენდაცია .....	12
5. საარჩევნო დავები.....	12
რეკომენდაციები .....	13
6. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შესწორება და ბიულეტენების გადათვლა .....	14
7. საარჩევნო პროცესებში ელექტრონული საშუალებების გამოყენება.....	14
რეკომენდაციები.....	15

## შესავალი

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა, განსაკუთრებით კი მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით შეუთანხმებლობამ, სახელმწიფო მწვავე კრიზისის წინაშე დააყენა. არჩევნების მიმართ უნდობლობა იმ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებმაც საპარლამენტო არჩევნებზე ბარიერი გადალახეს, მიღებულ მანდატებზე უარის თქმით გამოხატეს,<sup>1</sup> პარტია „მოქალაქეებმა“ კი, საპარლამენტო საქმიანობა „ქართულ ოცნებასთან“ გაფორმებულ მემორანდუმში ასახული საკითხების ცვლილების პირობით დაიწყო, რომელიც, მათ შორის, ეხებოდა: ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო სისტემის, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებისა და საარჩევნო დავებთან დაკავშირებულ პრობლემებს.<sup>2</sup>

2021 წლის თებერვლის დასაწყისში საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებულმა სამუშაო ჯგუფმა, რომელიც მემორანდუმის გაფორმების შედეგად შეიქმნა, პარლამენტში მუშაობა განაახლა. ჯგუფის შეხვედრებს ესწრებოდნენ საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები, თუმცა, ოპოზიციური პარტიების ბოიკოტის გამო, ჯგუფმა მუშაობა მათი ჩართულობის გარეშე გააგრძელა,<sup>3</sup> რამაც პროცესის ინკლუზიურობაზე გავლენა მოახდინა. საარჩევნო რეფორმის პროცესის პარალელურად, 23 თებერვალს საქართველოს მთავრობამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, ნიკა მელიას მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი დაიწყო. დაკავების სპეციალური ღონისძიების პროცესში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა არაპროპორციული ძალის გამოყენებით დააკავეს ნიკა მელია, რამაც მთავრობის მიერ მიმდინარე პოლიტიკური დიალოგის და დემოკრატიული პროცესების შეფერხების რისკები გაზარდა.<sup>4</sup> ხელისუფლების აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ, კიდევ ერთხელ გამოავლინა, არსებული პოლიტიკური კრიზისის მართვის პროცესში, კონსტრუქციული პოლიტიკური ნების ნაკლებობა, რაც მიმდინარე საარჩევნო რეფორმაზე უარყოფითად აისახა. შექმნილი კრიზისის მოსაგვარებლად და პოლიტიკური დიალოგის განსაახლებლად აქტიური ნაბიჯები გადაიდგა ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან. 28 თებერვალს საქართველოს ვიზიტით ეწვია ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი, რომელმაც ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგის საფუძველზე შეიმუშავა 6 პუნქტიანი სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთი ნაწილი საარჩევნო რეფორმას ეხება. ამჟამად მიმდინარე მოლაპარაკების პროცესში მედიატორის როლს ასრულებს პრეზიდენტ მიშელის სპეციალური წარმომადგენელი კრისტიან დანიელსონი.

<sup>1</sup> იხ. ინფორმაცია: <https://civil.ge/ka/archives/380168>

<sup>2</sup> იხ. ინფორმაცია: <https://netgazeti.ge/news/515535/>

<sup>3</sup> იხ. ინფორმაცია: <https://bit.ly/3dSq6lY>

<sup>4</sup> იხ. ინფორმაცია: <http://bit.ly/3uy3Gg3>

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საარჩევნო კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით, საარჩევნო რეფორმის პროცესი ჯერ კიდევ 2019 წლის ივნისში დაიწყო, რომელიც, ძირითადად ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ (ODIHR) 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე შემუშავებული რეკომენდაციების კანონმდებლობაში ასახვას ისახავდა მიზნად. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის შემადგენლობა მეტნაკლებად ინკლუზიური და გამჭვირვალე იყო, ისეთ ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა: საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების წესის გადახედვა, სოციალური ქსელებით განხორციელებული აგიტაციის რეგულირება და საარჩევნო დავების განხილვა - შეთანხმება ბოლომდე ვერ მოხერხდა.

აღნიშნულ დოკუმენტში მიმოხილულია „სამართლიანი არჩევნებისა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ერთობლივი შეფასებები და რეკომენდაციები პოლიტიკურ პარტია „ქართულ ოცნებასა“ და „მოქალაქეებს“ შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე შემუშავებულ საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. ასევე, საჭიროდ მიგვაჩნია, წარმოვადგინოთ მოსაზრებები საარჩევნო კანონმდებლობისა და პრაქტიკის დახვეწის მიზნით იმ პრობლემათა გადასაჭრელად, რომლებიც მთელი საარჩევნო ციკლის პროცესში უარყოფით გავლენას ახდენდნენ თანასწორ და თავისუფალ საარჩევნო გარემოზე. საარჩევნო რეფორმით გახსნილი დისკუსიის სივრცე შესაძლებლობას იძლევა საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ იმ საკითხებსაც, რომლებსაც შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი არ ითვალისწინებს, მაგრამ საკვანძო მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და არჩევნების შედეგების სანდოობის გაზრდის კუთხით.

## 1. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება

### 1.1. ცენტრალური საარჩევნო კომისია

წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველზე იცვლება ცესკოს ფორმირების წესი. ცესკოს შემადგენლობაში 17 წევრი იქნება, აქედან 8 პროფესიული ნიშნით შერჩეულ წევრს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით საქართველოს პარლამენტი აირჩევს, ხოლო 9 წევრს დანიშნავენ პოლიტიკური პარტიები.

პოლიტიკურ პარტიებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებათ ცესკოში ერთი წევრის წარდგენის უფლება თუ სახეზე იქნება ყველა შემდეგი გარემოება:

- 1) პარტია დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის მეშვეობით რეგისტრირებული უნდა იყოს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით და მიკუთვნებული ჰქონდეს პარლამენტის წევრის მანდატი;
- 2) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის საფუძველზე პარტია უნდა იღებდეს საბიუჯეტო დაფინანსებას;
- 3) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის საფუძველზე პარტიას მინიმუმ ერთი წევრი მაინც უნდა ჰყავდეს პარლამენტში წარმოდგენილი, რომელიც ახორციელებს პარლამენტის წევრის უფლებამოსილებას.

მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი ინიციატივა ვერ უზრუნველყოფს საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიკურად ნეიტრალურ ორგანოდ ჩამოყალიბებას და არსებითად ვერ გადაჭრის პროფესიული წევრების შერჩევის პროცესში არსებულ პრობლემებს. დღეს არსებული

რედაქციით, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების შერეული მოდელი მოქმედებს, ცესკო შედგება თავმჯდომარისა და 11 წევრისგან, აქედან საარჩევნო კომისიის 6 წევრს პოლიტიკური პარტიები ნიშნავენ, ხოლო დანარჩენი 5 წევრი კონკურსის საფუძველზე შეირჩევა. ამ მხრივ პრობლემურია როგორც, ცესკოს, პროფესიული წევრების შერჩევის პროცესი, ასევე პოლიტიკური პარტიების მიერ წევრების წარდგენის წესი, რომელიც ერთ პარტიას საარჩევნო კომისიაში ერთზე მეტი წარმომადგენლის დანიშვნის უფლებას აძლევს.

შემოთავაზებული პროექტის მიხედვით, ცესკოს პროფესიული ნიშნით შერჩევა პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტის მიერ მოხდება. მიუხედავად იმისა, რომ ინიციატივა ითვალისწინებს ცესკოს წევრობის კანდიდატების შესარჩევად საკონკურსო კომისიის შექმნას, პრობლემას წარმოადგენს კომისიის ფორმირების საკითხი. თუ გავითვალისწინებთ იმ გამოწვევებს, რაც პროფესიული ნიშნით შერჩევის პროცესში მუდმივად არსებობდა, რთულია გამოირიცხოს კომისიის შემადგენლობაში პოლიტიკურად მიკერძოებული ორგანიზაციების მოხვედრის ალბათობა. ასევე, აღსანიშნავია, რომ პროფესიულ წევრთა შერჩევის პროცესი და გამოვლენილი კანდიდატები არ აღძრავდა ნდობას სხვა პარტიებში და პროფესიული წევრები, როგორც წესი, მმართველი პარტიის დანიშნულად და მისსავე სასარგებლოდ მოქმედ პირებად აღიქმებოდნენ.

2019 წელს ცესკოს პროფესიული წევრების შესარჩევად გამართული ბოლო კონკურსის შედეგად, რომელიც პრეზიდენტმა ცესკოს ოთხ ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატების შესარჩევად გამოაცხადა, ისეთი პირები შეირჩნენ, რომელთა პოლიტიკურ ნეიტრალიტეტსა და პროფესიონალიზმთან დაკავშირებულმა კითხვებმა ეჭვები გააჩინა კონკურსის ობიექტურობასთან დაკავშირებით.<sup>5</sup> მიუხედავად იმისა, რომ კომისიის ფორმირების დროს ფორმალურად დაცული იყო საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები, კომისიის შემადგენლობამ და კონკურსში მონაწილე კანდიდატების შეფასებისთვის დადგენილი კრიტერიუმებმა ვერ უზრუნველყო კონკურსის მთავარი მიზნის მიღწევა - ობიექტური და მიუკერძოებელი შერჩევის შედეგად პროფესიული წევრების არჩევა.

კანონპროექტის მიხედვით, პოლიტიკურ პარტიებს, საპარლამენტო მანდატებზე უარის თქმის ფონზე, ცესკოს წევრობის კანდიდატის წარდგენის უფლება არ ექნებათ. ბარიერგადალახული პარტიები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ ცესკოს წევრობის კანდიდატის წარდგენას, თუ მათ, მინიმუმ, ერთი წარმომადგენელი ეყოლება პარლამენტში, რაც არსებული პოლიტიკური დაპირისპირების და ბოიკოტის პირობებში, ოპოზიციურ პარტიებს არ მისცემს კომისიის წევრების წარდგენის შესაძლებლობას. შესაბამისად, გაჩნდება რისკი იმისა, რომ პოლიტიკური და პროფესიული ნიშნით შესავსები ადგილები, ერთი პოლიტიკური პარტიის დომინაციის გათვალისწინებით, მასთან დაკავშირებული პირებით და წარმომადგენლებით დაკომპლექტდეს.

## 1.2. საოლქო საარჩევნო კომისია

საკანონმდებლო ინიციატივის შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისიის პროფესიულ ნიშნით შესარჩევ 5 წევრს 5 წლის ვადით, ხოლო 3 წევრს საარჩევნო პერიოდის ვადით აირჩევს ცესკო, საოლქო საარჩევნო კომისიის 9 წევრს კი, არჩევნების დანიშვნის შემდეგ დანიშნავენ

<sup>5</sup> იხ. ინფორმაცია: <http://bit.ly/3qSGKpy>

პოლიტიკური პარტიები იგივე პრინციპების დაცვით, როგორც ეს ცესკოს წევრობის კანდიდატების შემთხვევაში ხდება.

წლების განმავლობაში საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევად გამოცხადებულ კონკურსში, ცესკოს მიერ, პროფესიული ნიშნით არჩეული წევრების მნიშვნელოვან ნაწილს წარსულში პარტიული გამოცდილება ჰქონდა, 2016 წელს საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა შესარჩევ კონკურსში კომისიის 182 წევრიდან 67 წარსულში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მიერ დანიშნული წევრები იყო, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ყველა დონის საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესის გადახედვის აუცილებლობას და დამატებითი კრიტერიუმების საჭიროებას კანონმდებლობაში.<sup>6</sup> აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, პროფესიული ნიშნით წევრების დანიშვნისას, ერთ-ერთ მოთხოვნას უნდა წარმოადგენდეს ის, რომ კონკურსანტი ბოლო საერთო არჩევნების განმავლობაში არ იყოს პოლიტიკურ პარტიის მიერ წარდგენილი წევრი, ნებისმიერი დონის საარჩევნო კომისიაში. მსგავსი რეგულაცია პროფესიული ნიშნით არჩეული წევრების მიკერძოებას ან კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიასთან კავშირის რისკებს ამცირებს.<sup>7</sup>

### 1.3. საუბნო საარჩევნო კომისია

საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში პროფესიული ნიშნით არჩეული 7 წევრი იქნება. იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო უბნის საზღვრებში რეგისტრირებულია 300 ამომრჩეველზე მეტი, საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობას ყოველ 300 ამომრჩეველზე დამატებით ერთი წევრი დაემატება. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით აირჩევს, იმ პირობით, რომ ამ გადაწყვეტილებას შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკოს მიერ 5 წლის ვადით დანიშნული 3 წევრი მაინც დაუჭერს.

საოლქო საარჩევნო კომისიების პროფესიული ნიშნით დანიშნული წევრების არჩევის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების მსგავსად, წლების განმავლობაში, არსებითი დარღვევების ფონზე მიმდინარეობდა საუბნო საარჩევნო კომისიის პროფესიული წევრების შერჩევის პროცესიც. სადამკვირვებლო ორგანიზაციები საკუთარ ანგარიშებსა და განცხადებებში ამ პრობლემაზე მრავალი წელია საუბრობენ. 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე საოლქო კომისიების დიდ ნაწილში წინასაწარ არსებობდა კონკურსანტთა სიები, რომელთა არჩევაც უნდა მომხდარიყო უბნების მიხედვით, ხოლო თავად კონკურსის პროცესი იყო ფორმალისტური და არ ითვალისწინებდა კანდიდატების რეალურად შერჩევას. მსგავსი ტენდენცია დაფიქსირდა 2016 წელსაც. ოპოზიციის წარმომადგენლების ინფორმაციით, ამ სიებში ძირითადად მმართველი პარტიის აქტივისტების ოჯახის წევრები და მათი ახლო ნათესავები იყვნენ.<sup>8</sup>

### რეკომენდაციები

გრძელვადიან პერსპექტივაში მხარს ვუჭერთ სრულად პროფესიული დაკომპლექტების მოდელზე გადასვლას, თუმცა, არსებული რეალობიდან გამომდინარე, დღესვე ამ მოდელზე

<sup>6</sup> იხ. ინფორმაცია: <https://isfed.ge/geo/politikis-dokumentebi/saarchevno-administratsiis-dakomplektebis-reforma>

<sup>7</sup> იხ. ინფორმაცია: <https://isfed.ge/geo/politikis-dokumentebi/saarchevno-administratsiis-dakomplektebis-reforma>

<sup>8</sup> იხ. ინფორმაცია: <http://bit.ly/3bJUNXU>



გადასვლა პრობლემურად მიგვაჩნია, ამ წესით წევრთა შერჩევის პროცესისადმი ნდობის ნაკლებობის გამო. საჭიროდ მიგვაჩნია, გადაიხედოს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების შერეული მოდელი და დაკომპლექტების პროცესში შემდეგი პრინციპების გათვალისწინება მოხდეს, კერძოდ:

### 1.1. ცენტრალური საარჩევნო კომისია:

- პოლიტიკური პარტიების მიერ წევრების დანიშვნა სახელმწიფო დაფინანსების მიღების ნაცვლად უფრო სამართლიანი იქნება თუ საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე იქნება მიბმული. ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების დანიშვნის უფლება არჩევნებზე მიღებული ხმების მიხედვით საუკეთესო შედეგის მქონე სუბიექტებს უნდა მიენიჭოს;
- პოლიტიკურ პარტიების მიერ წევრების დანიშვნა პარტიტეტის პრინციპის საფუძველზე უნდა მოხდეს, რაც ერთ საარჩევნო სუბიექტს მხოლოდ ერთი წევრის დანიშვნის უფლებას მისცემს;
- იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომელთაც უარი თქვეს მანდატის მიღებაზე და არ ჰყავთ პარლამენტში წარმომადგენელი, არ უნდა შეეზღუდოთ წევრის დანიშვნის უფლება;
- პროფესიული ნიშნით ცესკოს წევრების შესარჩევად შექმნილი საკონკურსო კომისიის საქმიანობის მიუკერძოებლობის და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია, მის შემადგენლობაში იყვნენ საარჩევნო საკითხებზე სამუშაო გამოცდილების მქონე და შესაბამისი რეპუტაციის სადამკვირვებლო ორგანიზაციები;
- მნიშვნელოვანია, პროფესიული ნიშნით წევრების შერჩევისას კონკურსის ერთ-ერთ ეტაპად განისაზღვროს გასაუბრება;
- დადგინეს კონკურსის საჯაროობის და გამჭვირვალობის სტანდარტები, ასევე კომისიის გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება;
- საარჩევნო კანონმდებლობის შეზღუდული ვადების გათვალისწინებით, საკონკურსო-კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის განისაზღვროს მექანიზმები;
- პარლამენტის მიერ ცესკოს პროფესიულ წევრთა შერჩევის გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია განისაზღვროს იმგვარი კვორუმი, რაც გამორიცხავს ერთი მხრივ მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ არ წარმოშობს პროცესის ხელოვნურად შეფერხების საფრთხეს.

### 1.2. საოლქო საარჩევნო კომისია

- პოლიტიკური პარტიების მიერ წევრების დანიშვნა მოხდეს იგივე პრინციპების გათვალისწინებით, როგორც ცესკოს დაკომპლექტების დროს ხდება;
- პროფესიული ნიშნით წევრების შესარჩევად მნიშვნელოვანია, დადგინდეს დამატებითი კრიტერიუმები, რაც გამორიცხავს პროფესიული ნიშნით საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად იმ პირების შერჩევას, რომლებიც ბოლო არჩევნებზე პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრები/წარმომადგენლები ან მასთან ასოცირებული პირები იყვნენ;

- მნიშვნელოვანია, პროფესიული ნიშნით წევრების შერჩევისას კონკურსის ერთ-ერთ ეტაპად განისაზღვროს გასაუბრება;
- დადგინეს კონკურსის საჯაროობის და გამჭვირვალობის სტანდარტები, ასევე, კომისიის გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება.

### 1.3. საუბნო საარჩევნო კომისია

- სრულად დაკომპლექტდეს პროფესიული ნიშნით შერჩეული წევრებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესის ცვლილებისას გათვალისწინებული იქნება წარმოდგენილი რეკომენდაციები;
- გაიზარდოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის შესარჩევი კონკურსის ვადები;
- მნიშვნელოვანია, პროფესიული წევრების შერჩევისას კონკურსის ეტაპად განისაზღვროს გასაუბრება და დადგინეს კონკურსის საჯაროობის და გამჭვირვალობის სტანდარტები.

## 2. საარჩევნო სისტემა

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მოქმედი შერეული საარჩევნო სისტემა წლების განმავლობაში კრიტიკულად ფასდებოდა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც მოქმედ საარჩევნო სისტემას უკავშირდება, ამომრჩევლის ხმის წონის თანაბრობისა და პროპორციულობის პრინციპების დარღვევაში გამოიხატება. კერძოდ, ცალკეულ შემთხვევებში ძალიან დიდია სხვაობა მაჟორიტარული ოლქების ზომებს შორის, ასევე, ბევრი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მანდატების განაწილებისას არაგონივრულად მაღალია მაჟორიტარული წესით ასარჩევი წევრების რაოდენობა. აქედან გამომდინარე, არსებული სისტემა ამომრჩეველთა ხმების მანდატებში მაღალი დონის არაპროპორციულობით გარდასახვის პრობლემას ქმნის. არაერთი ადგილობრივი არჩევნების შედეგების შემდეგ გამოვლინდა, რომ შედარებით მცირე მხარდაჭერის მქონე პარტიები არჩევნებში მიღებულ ხმების პროპორციასთან შედარებით ნაკლებ მანდატებს იღებენ საკრებულოში, ან პირიქით, როდესაც, ძლიერ პოლიტიკურ პარტიებს საკრებულოებში გაცილებით მეტ მანდატს იღებენ, ვიდრე არჩევნებში მათ მიერ მიღებული პროცენტული მხარდაჭერა.<sup>9</sup>

კანონპროექტის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირება კვლავ შერეული საარჩევნო სისტემის საფუძველზე მოხდება. თვითმმართველი თემის საკრებულოებში წევრთა ერთი ნაწილი - პროპორციული, ხოლო მეორე ნაწილი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე აირჩევა, თუმცა, ცვლილებების შედეგად გაიზარდება პარტიული სიებით არჩეულ წევრთა თანაფარდობა, პროპორციული კომპონენტის სასარგებლოდ, მათ შორის, თბილისის საკრებულოში, მანდატების სიმეტრიული განაწილების ნაცვლად, პროპორციული წესით დაკომპლექტდება ადგილების 80%, თვითმმართველ ქალაქებში საკრებულოს წევრთა ამდენივე წილი აირჩევა პარტიული სიების საფუძველზე, ხოლო თვითმმართველ თემებში, პროპორციული ადგილების წილი სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ს გაუტოლდება. თბილისში პროპორციული არჩევნებისთვის საარჩევნო

<sup>9</sup> იხ. ინფორმაცია: <http://www.isfed.ge/geo/blogi/ratom-unda-sheitsvalos-saarchevno-sistema-sakartveloshi>



ბარიერი იქნება 2.5%, ნაცვლად დღეს მოქმედი 4%-ისა. თბილისის გარდა სხვა თვითმმართველი ქალაქებისა და თემების საკრებულოების პროპორციული არჩევნებისთვის საარჩევნო ბარიერი იქნება 3%.

## რეკომენდაციები

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ცვლილება შეამცირებს, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობით ორგანოებში, საარჩევნო სუბიექტების ხმების მანდატებში არაპროპორციულად გარდასახვის ხარისხს, თუმცა, მაინც დატოვებს გამარჯვებული პარტიის სასარგებლოდ დამატებითი ადგილების ბონუსად მიღების შესაძლებლობას. თუმცა, პროპორციული საარჩევნო სისტემისთვის კიდევ უფრო მეტი უპირატესობის მინიჭება, უკეთესი იქნება.

ამავე დროს, ვინაიდან თეორიულად შესაძლებელია, ზოგიერთ დასახლებას მაჟორიტარი წარმომადგენელი საკრებულოში აღარ ჰყავდეს და რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულს მოუწიოს ერთ წარმომადგენელზე შეთანხმება, კარგად მოსაფიქრებელი და დასათვლელი იქნება მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ზომები და საზღვრები. ამ პროცესში მნიშვნელოვანია, გონივრულად დაბალანსდეს საარჩევნო ოლქების ზომის შედარებითი თანაბრობისა და სხვადასხვა გეოგრაფიულ-სოციალურ-კულტურული თავისებურების გათვალისწინების პრინციპები. მნიშვნელოვანია ოლქების საზღვრების დადგენისას გამოირიცხოს ე.წ. „ჯერიმენდერინგის“ საფრთხე.

ადგილობრივ დონეზე პროპორციულ კომპონენტში, დახურული სიითი საარჩევნო სისტემის ნაცვლად, ღია სიების გამოყენებას ამომრჩეველთა ინტერესებთან მეტად შესაბამისად მივიჩნევთ. ამასთან, ხმების დათვლასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით, ამის განხორციელება შეიძლება უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში დაინერგოს.

ასევე, პარტიული სიებით არჩეულ წევრთა გაზრდილი წილი ადგილობრივ დონეზე პოლიტიკური პარტიების როლს ზრდის, ხოლო ინდივიდუალურად მოქმედ დამოუკიდებელ კანდიდატებს წარმომადგენლობით ორგანოში მოხვედრის შედარებით ნაკლებ შესაძლებლობას უტოვებს. პროპორციული წარმომადგენლობის საარჩევნო სისტემა შეიძლება იმგვარად იქნას გამოყენებული, რომ არაპროპორციულობის შემცირებასთან ერთად, გაითვალისწინოს დამოუკიდებელი კანდიდატების უფლებაც, არჩეულნი იყვნენ წარმომადგენლობით ორგანოში. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით, საარჩევნო სიების წარდგენის უფლება საინიციატივო ჯგუფებსაც შეიძლება მიენიჭოს.

## 3. საარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება

### 3.1. წინასაარჩევნო აგიტაცია

საარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების მხრივ, საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა ჩართვა წინასაარჩევნო კამპანიაში, რა დროსაც, საჯარო მოხელეები ფორმალურად ითავისუფლებენ თავს სამსახურეობრივი უფლებამოსილების შესრულებისგან და აქტიურად იღებენ მონაწილეობას კონკრეტული კანდიდატების მხარდასაჭერ თუ მათ საწინააღმდეგო ღონისძიებებში.

საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციის შეზღუდვა გავრცელდება საჯარო მოსამსახურეებზე. აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს და მისასაღმებელია, რადგან, აფართოებს იმ პირთა წრეს, რომლებიც საჯარო სექტორში არიან დასაქმებულნი და შეზღუდული აქვთ აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათების განმავლობაში, ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ უფლებამოსილებებს. დღეს არსებული რეგულაციით, შეზღუდვა ეხებოდა მხოლოდ საჯარო მოხელეებს - ანუ იმ პირებს, რომლებიც უვადოდ ინიშნებიან მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ.<sup>10</sup> შესაბამისად, ამ რეგულაციაში არ ექცეოდნენ სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული ის პირები, ვინც შრომითი ან ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდნენ. საჯარო მოსამსახურის<sup>11</sup> ცნება გაცილებით ფართოა და მოხელეებთან ერთად მოიცავს ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებულ პირებსაც, ყველას გარდა პოლიტიკური და სახელმწიფო-პილიტიკური თანამდებობის პირებისა, მათ შორის, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს და მუნიციპალიტეტში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული სხვა პირებს.

შემოთავაზებული რეფორმის ფარგლებში, ასევე, გათვალისწინებულია საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის ცვლილება. ამ ნორმით ზუსტდება, რომ წინასაარჩევნო აგიტაციაში ჩართვის შეზღუდვა ვრცელდება: სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორების, აღმზრდელ-პედაგოგების, აღმზრდელების, მასწავლებლებისა, იქ დასაქმებული სხვა პირების მიმართ - სამუშაო საათების განმავლობაში ან როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ უფლებამოსილებებს.

გარდა ამისა, კანონპროექტით აიკრძალება საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლების, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომლების, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორების, აღმზრდელ-პედაგოგების, აღმზრდელების, მასწავლებლების, იქ დასაქმებული სხვა პირების შეკრება სამსახურებრივი ნიშნით.

სადამკვირვებლო ორგანიზაციები საარჩევნო პერიოდის მონიტორინგის ანგარიშებში არაერთხელ მიუთითებდნენ საჯარო სკოლებისა და ბაღის პედაგოგების, წინასაარჩევნო შეხვედრებში მონაწილეობის მიზნით, შეკრების შესახებ, რაც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და ზეწოლის ნიშნებს შეიცავდა. ამ ცვლილებებმა, დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შემცირებაზე, რადგან არაპოლიტიკური თანამდებობის პირებს აეკრძალებათ წინასაარჩევნო აგიტაციაში ჩართვა სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას. ასევე, შეზღუდვა ნათლად ჩამოყალიბდა საჯარო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების

<sup>10</sup> საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხ.: 3.ე - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098?publication=35>

<sup>11</sup> საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხ.: 3.დ

დაწესებულებების და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთა მიმართ და, ასევე, აიკრძალება, წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი შეკრება.

### რეკომენდაცია

საარჩევნოდ ადამიანური ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შეზღუდვის მხრივ, სტანდარტის კიდევ უფრო დასახვეწად, მიგვაჩნია, რომ საჯარო მოსამსახურეების გარდა, მინისტრის მოადგილეებს და რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულებს არ უნდა ჰქონდეთ წინასაარჩევნო კამპანიაში შეუზღუდავად მონაწილეობის უფლება. მათ, ასევე, უნდა ჰქონდეთ შეზღუდული სამუშაო საათებში აგიტაციის უფლება.

## 3.2. წინასაარჩევნო აგიტაცია სოციალური ქსელებით

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებში სოციალური ქსელების როლი და გავლენა წლიდან წლამდე იზრდება. ის იქცა საარჩევნო ტექნოლოგიების მნიშვნელოვან იარაღად და სულ უფრო ხშირად გამოიყენება პარტიებისა და კანდიდატების მიერ პოლიტიკური გზავნილების მოსახლეობამდე მისატანად. საქართველოში, სოციალური ქსელების განსაკუთრებული პოპულარობის გათვალისწინებით, პრობლემა კიდევ უფრო აქტუალურია.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, საჯარო სამსახური პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს ეფუძნება. საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით საჯარო მოხელეებს ეკრძალებათ აგიტაცია სამუშაო საათებში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციას.

პრობლემას წარმოადგენს ის, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია კანონდარღვევად არ მიიჩნევს სოციალური ქსელებით განხორციელებულ აგიტაციას და აღნიშნულს მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენების კუთხით აფასებს, რაც ქმნის კანონით აკრძალული უკონტროლო სივრცეს აგიტაციის კანონით დაუშვებელი ფორმებით გამოსაყენებლად.

### რეკომენდაცია

საჭიროა საარჩევნო კოდექსში დაზუსტდეს აგიტაციის განმარტება და მე-2 მუხლის „3“ პუნქტს დაემატოს შემდეგი წინადადება:

- წინასაარჩევნო აგიტაციას, ასევე, წარმოადგენს ნებისმიერი ქმედება განხორციელებული სოციალური ქსელების, მათ შორის, პირადი ანგარიშის/გვერდის საშუალებით.

## 4. ამომრჩევლის ნებაზე გავლენის მოხდენა

ცვლილებების შეტანა გათვალისწინებულია საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-12 ნაწილშიც, რომელსაც დღეს არსებული 25 მეტრიანი შეზღუდვის ნაცვლად, ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „...დაუშვებელია აგრეთვე კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება. დაუშვებელია ასევე კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ადამიანთა შეკრება ან ამომრჩეველთა აღრიცხვა.“.

აღნიშნული დისტანციის გაზრდა და ამომრჩეველთა აღრიცხვის აკრძალვა მისასაღმებელია. სადამკვირვებლო ორგანიზაციები არერთხელ მიუთითებდნენ, რომ ეს წარმოადგენდა ამომრჩეველის ნებაზე ზემოქმედებისა და კონტროლის მექანიზმს. თუმცა, შემოთავაზებული ცვლილებების ფარგლებში არაა დაკონკრეტებული აღსრულების, დამრღვევთა პასუხისმგებლობის ქმედითი მექანიზმები, რაც ნორმის უმოქმედოდ დატოვების საფრთხეს შეიცავს.

## რეკომენდაცია

განისაზღვროს კონკრეტული მექანიზმები, რაც კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა აღრიცხვის ან მათი ფიზიკურად შეფერხებისას ამოქმედდება, მათ შორის მოხდეს კონკრეტული პასუხისმგებლობის ზომის დადგენა.

## 5. საარჩევნო დავები

საარჩევნო დავების განხილვის მხრივ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისას კვლავ გაგრძელდა ის სამწუხარო ტენდენცია, რაზეც სადამკვირვებლო ორგანიზაციები 2019-2020 წლების საარჩევნო რეფორმის შეფასების დოკუმენტში მიუთითებდნენ.<sup>12</sup> საოლქო საარჩევნო კომისიებში წარმართული საჩივრების განხილვის პროცესი იყო ფორმალისტური, არ ხდებოდა საქმის მასალების საფუძვლიანად შესწავლა და სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებათა უმთავრესი და ხშირად ერთადერთი საფუძველი საუბნო კომისიის წევრთა, ანუ დაინტერესებულ პირთა ახსნა-განმარტება იყო. იმ შემთხვევაშიც, კი, როცა საქმე ეხებოდა შემაჯამებელ ოქმში მონაცემების გადასწორებას, ამომრჩეველთა რაოდენობასა და საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებულ ხმათა შორის დისბალანსს, საოლქო კომისია უმეტესად უარს ამბობდა გადათვლაზე და მონაცემებს ზეპირად ასწორებდა და ამ საფუძველით საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარს ამბობდა. რიგ შემთხვევაში, საოლქო კომისიებმა, თავისივე პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, საჩივრების განხილვაზე უარი დაუსაბუთებლად და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით განაცხადეს, რითაც თავი აარიდეს მნიშვნელოვან დარღვევებზე მსჯელობასა და სამართლებრივი შეფასების მიცემის ვალდებულების შესრულებას.

საჩივრების განხილვის პროცესი პრობლემური იყო სასამართლოშიც. გამოიკვეთა მოსამართლეთა კვალიფიკაციის პრობლემაც საარჩევნო დავების სპეციფიკის გათვალისწინებით. მოსამართლეთა ნაწილი ვერ ერკვეოდა საარჩევნო პროცედურებში, დოკუმენტაციაში, რაც აბრკოლებდა დავების სწორად განხილვის პროცესს.

საარჩევნო დავების უაღრესად შეზღუდული ვადების ფონზე, დამკვირვებელი ორგანიზაციებისთვის სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს საჩივრის ფორმების ამ ტიპის დავების სპეციფიკასა და შემჭიდროებულ ვადებზე მოურგებლობა, ასევე, საჩივრების ელექტრონულად წარდგენის შეუძლებლობა. აღსანიშნავია, რომ მკაცრად გაწერილი საათები დაბრკოლებას უქმნის გასაჩივრების მსურველს, მაშინ როცა თავად სასამართლოს მიერ ის ხშირად ირღვევა და მხარისათვის დროულად არ ხდება გადაწყვეტილების მიწოდება. ასევე

<sup>12</sup> 2019-2020 წლების საარჩევნო რეფორმის შეფასება, გვ.: 7 - <http://www.isfed.ge/geo/angarishebi/2019-2020-tslebis-saarchevno-reformis-shefaseba>



სასამართლო განხილვები ინიშნება და მიმდინარეობს არასამუშაო საათებში, მაშინ როცა სასამართლო კანცელარია უარს ამბობს დაარეგისტრიროს საჩივარი გასაჩივრების ვადის შესაბამისი დღის 18:00 საათის შემდეგ.

პანდემიის პირობებში, სასამართლო პროცესების უმეტესობა დისტანციურ რეჟიმში გაიმართა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დავების სწრაფად განხილვას, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ეს დავები სხვადასხვა რაიონულ, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში მიმდინარეობს მცირე შუალედით და მათზე დასასწრებად გადაადგილების მოსწრება სირთულეებს უკავშირდება.

## რეკომენდაციები

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებლად მიგვაჩნია კანონმდებლობაში შემდეგი საკითხების ასახვა:

- შესაბამისი საარჩევნო კომისია საჩივრის განხილვისას ვალდებული უნდა იყოს გახსნას შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაცია და ხელახლა დათვალოს კენჭისყრის შედეგები იმ შემთხვევაში, როცა შემაჯამებელ ოქმში გადასწორებულია სუბიექტების მიერ მიღებული ხმები, ამომრჩეველთა რაოდენობა ან ბათილი ბიულეტენები ან სუბიექტების მიერ მიღებული ხმებისა და ბათილი ბიულეტენების რაოდენობის ჯამი აღემატება არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობას ან სხვა შემთხვევებში, საარჩევნო კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე;
- დავის განმხილველი საარჩევნო კომისია ვალდებული უნდა იყოს ჩაატაროს სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოება და გადაწყვეტილების მიღებისას არ დაეყრდნოს მხოლოდ კომისიის წევრთა/დაინტერესებულ პირთა ახსნა-განმარტებას;
- ყველა სახის საარჩევნო დავაზე საჩივრის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტად განსაზღვრული უნდა იყოს დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაცია ან/და მისი დამკვირვებელი. ამ პროცესში უნდა გამოირიცხოს ორგანიზაციის მიერ გაცემული მინდობილობის წარდგენის ვალდებულება და ცესკოს მიერ გაცემული დამკვირვებლის მოწმობა ჩაითვალოს საკმარის დოკუმენტად;
- საოლქო საარჩევნო კომისიებმა საჩივრების მიღებისა და განხილვის ერთგვაროვანი პრაქტიკა შეიმუშაონ;
- სასამართლოში საარჩევნო დავების განმხილველი მოსამართლეებისთვის განისაზღვროს სპეციალიზაცია ან გადამზადების გავლა;
- საარჩევნო დავებისთვის უნდა გამარტივდეს ადმინისტრაციულ საქმეებზე არსებული საჩივრის/სააპელაციო საჩივრის ფორმები და უნდა მოერგოს საარჩევნო დავების სპეციფიკასა და შემჭიდროებულ ვადებს;
- სასამართლოსთან ყველა ტიპის კომუნიკაციის წარმოება, მათ შორის, საჩივრის წარდგენა შესაძლებელი უნდა იყოს ელექტრონული ფორმითაც;
- სასამართლოში საჩივრისა და სააპელაციო საჩივრის წარდგენა შესაძლებელი უნდა იყოს გასაჩივრების ვადის შესაბამისი დღის 24:00 საათამდე;
- სასამართლო პროცესის წარმართვა შესაძლებელი უნდა იყოს დისტანციურ რეჟიმში, მხარის მოთხოვნის საფუძველზე.



## 6. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შესწორება და ბიულეტენების გადათვლა

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც საარჩევნო უბნის საბოლოო დახურვის და დოკუმენტაციის/ინვენტარის დალუქვის შემდეგ, საოლქო საარჩევნო კომისიებში დაბარებული საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მიერ მოგვიანებით დგებოდა შემაჯამებელ ოქმების შესწორების ოქმები. ამ ოქმებით შემაჯამებელ ოქმებში გარკვეული მონაცემები, როგორც წესი, ბიულეტენების გადათვლის გარეშე, მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების წერილობითი ან/და ზეპირი ახსნა-განმარტებების საფუძველზე ზუსტდებოდა. ჩვენი აზრით, მონაცემების დაზუსტებისთვის მხოლოდ მოგვიანებით დაწერილი ახსნა-განმარტება არასაკმარისი საფუძველია.

იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც შესწორების ოქმების გამოცემა ვერ მოხერხდა, შემაჯამებელი ოქმები საოლქო საარჩევნო კომისიების განკარგულების საფუძველზეც დაზუსტდა. აღნიშნული განკარგულებების ნაწილი ბიულეტენების გადათვლის საფუძველზე გამოიცა, ნაწილი კი - მხოლოდ საუბნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებების საფუძველზე, რაც, ჩვენი აზრით, ასევე, პრობლემური იყო.

მივესალმებით იმ ფაქტს, რომ საარჩევნო რეფორმის სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტში ასახა ჩვენ მიერ წარდგენილი რეკომენდაციები შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმის და საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გამოცემის სამართლებრივი საფუძვლების შესახებ. ინიციატივის მიხედვით, შესწორების ოქმის გამოცემა შესაძლებელი აღარ იქნება საუბნო საარჩევნო კომისიის დოკუმენტაციის დალუქვის შემდეგ. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ შემაჯამებელ ოქმში მონაცემების შესწორება დაიშვება მხოლოდ საოლქო კომისიის განკარგულების საფუძველზე, რომელიც მიიღება საუბნო საარჩევნო კომისიიდან მიღებული დალუქული პაკეტების გახსნის, კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის და საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა დათვლის შედეგად.

## 7. საარჩევნო პროცესებში ელექტრონული საშუალებების გამოყენება

წლების განმავლობაში, მათ შორის ბოლო საპარლამენტო არჩევნების დროს, გამოჩნდა, რომ არჩევნების დღეს რიგი პროცედურების მიმართ ნდობის ასამაღლებლად ელექტრონული საშუალებების დანერგვამ შეიძლება დადებითად იმოქმედოს. ელექტრონული საშუალებები, როგორც წესი, ამარტივებს საქმეს, ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომის ან შეგნებული დარღვევის რისკებს ამცირებს. სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა ამ კუთხით ითვალისწინებს გარკვეული ტექნოლოგიების დანერგვას, თუმცა ამ ეტაპზე ინიციატივა საჭიროებს მეტ დეტალიზაციას. ჯერ-ჯერობით ის არის ცნობილი, რომ დაინერგება კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა საარჩევნო უბანზე თითის ანაბეჭდით

რეგისტრაცია და გარკვეული რაოდენობის უბნებზე ხმის მიცემასა და ბიულეტენების დათვლა სპეციალური აპარატის მეშვეობით განხორციელდება.

## რეკომენდაციები

ზოგადად ვემხრობით კენჭისყრის დროს ელექტრონული საშუალებების დანერგვას, თუმცა, ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას ევროპის საბჭოს სტანდარტები ელექტრონული ხმის მიცემის დანერგვასთან დაკავშირებით. ამასთანავე, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული პროცესის სათანადოდ მოსამზადებლად საჭირო დრო, როგორც ამომრჩეველთა სათანადოდ ინფორმირების, ისე საარჩევნო ადმინისტრაციის მოსამზადებლად. ასევე, პრობლემურია იმ ადამიანებისთვის აქტიური საარჩევნო უფლების ჩამორთმევა, რომელთაც ID ბარათი არ ექნებათ. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია იმ ამომრჩეველთა ხმის უფლების რეალიზების საკითხი, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საარჩევნო უბანზე მისვლას ვერ ახერხებენ და საჭიროებენ გადასატანი ყუთით სარგებლობას.

თითის ანაბეჭდის გამოყენებით ან ნებისმიერი სხვა ბიომეტრული მონაცემის საფუძველზე ამომრჩეველთა ვერიფიკაციის გამოყენების შემთხვევაში განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს შეგროვებული მონაცემების უსაფრთხოების საკითხი. დეტალურად უნდა გაიწეროს მონაცემების დაცვისა და გამოყენების გამჭვირვალე და სანდო პროცედურები.

ელექტრონული ტექნოლოგიების სამომავლო გამოყენების ნებისმიერი მცდელობა კარგად უნდა იქნას გააზრებული, რათა საფრთხე არ შეექმნას ამომრჩეველების, საარჩევნო სუბიექტებისა თუ დამკვირვებლების თვალში საარჩევნო პროცესისა და შედეგების სანდოობას.